

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

# 2017 წლის ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

Georgia



# სარჩევი


სტატისტიკა ........ 7
საერთაშორისო ტურისტული გამოფენები ........ 24
მარკეტინგული კამპანიები ........ 28
საერთაშორისო რეიტინგები ........ 36
WORLD ABOUT GEORGIA ........ 40
ციფრული მარკეტინგის კონფერენცია ........ 41
საერთაშორისო გაცნობითი ტურები ........ 42
საერთაშორისო გამოცემები ........ 44
საერთაშორისო სატელევიზიო გადაცემები ........ 45
საერთაშორისო ურთიერთობები ........ 46
საქმიანი ტურიზმი ........ 51
შიდა ტურიზმის სტიმულირება ........ 55
ღონისძიებების მხარდაჭერა ........ 57
თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ........ 62
ტურისტული ინფრასტრუქტურა ........ 65
ტურისტული პროდუქტები ........ 71
მომსახურების ხარისხის ამაღლება ........ 72
წარმატებისა და აღიარების პროგრამა ........ 78



# დიმიტრი ქუმსიშვილი

*საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. 2017 წელს საქართველომ 7,554,936 საერთაშორისო მოგზაურს უმასპინძლა, რაც 1,194,433-ით მეტია 2016 წელთან შედარებით. ზრდამ 18.8 პროცენტი შეადგინა.

2017 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმიდან 2 მილიარდ 75 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შემოვიდა, რაც 27%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით. ეს არის უპრეცედენტო, რეკორდული მაჩვენებელი. ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო განვავითაროთ ტურიზმი და ამ სფეროს ხელი მაქსიმალურად შევუწყოთ.

ჩვენი მთავრობა აქტიურად მუშაობს ტურისტული ინფრასტრუქტურის და კურორტების განვითარებისათვის, ამ მიზანს ემსახურება საქართველოს მთავრობის გეგმა, რომელიც ქვეყნის სივრცით მოწყობას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი აქტიურ ფაზაში შედის, მისი დასრულების შემდეგ საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურები სწრაფად და კომფორტულად შეძლებენ ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხეების დათვალიერებას, ჩვენ ვქმნით ოთხსეზონიან საკურორტო მიმართულებებს, რაც ხელს შეუწყობს წლის ნებისმიერ დროს დიდი ოდენობით ტურისტული ნაკადების მოზიდვას.

ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები, რომლებსაც საქართველო ახორციელებს ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და საკურორტო სექტორში. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ტურიზმის განვითარებისთვის. ჩვენ ვახორციელებთ მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებას ტურისტული გზების არა მხოლოდ რეაბილიტაციის, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მშენებლობისთვის მიმართულებით.

მთავრობის 4-პუნქტიანი სამოქმედო პროგრამის სივრცითი რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი შედეგი ქვეყნის ტურისტულად მიმზიდველ დასახლებებში კერძო სექტორის გააქტიურება, ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება. ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ საქართველოს სეზონური კურორტების გარდაქმნას 4-სეზონიან ტურისტულ ცენტრებად. ჩვენ განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ინვესტიცია ქვეყნის მთის კურორტებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, რაც ვიზიტორების ზრდაში აისახა. თუკი 2013 - 2014 წლებში ზამთრის სეზონზე საქართველოს მთის კურორტებს 98,039 ვიზიტორი სტუმრობდა, 2016 - 2017 წლებისთვის ამ მაჩვენებელმა 412,711 ვიზიტორს გადააჭარბა.

ჩვენი მიზანია, ვიზიტორების რეკორდული ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად ამაღლდეს მომსახურების ხარისხი, რისთვისაც ვმუშაობთ კერძო სექტორთან და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ტურისტული პროდუქტების რაოდენობა და სექტორი გახდეს უფრო მეტად მაღალტექნოლოგიური. ჩვენ გვაქვს ამბიცია და ვფიქრობ, უნარებიც, რომ საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული მიმართულება გახდეს.



# გიორგი ჩოგოვაძე

*საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*

საქართველოში ტურიზმი წლიდან წლამდე სულ უფრო დინამიურად ვითარდება - ამის ნათელი მაგალითია 2017 წლის შედეგები, მათ შორის ტურისტების რეკორდული რაოდენობა და საერთაშორისო ტურიზმიდან ქვეყანაში შემოსავლების რეკორდული მაჩვენებლები. ამ წარმატებული შედეგების გამო ტურიზმი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს სექტორად ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

ბოლო წლებში ჩვენმა ქვეყანამ შეძლო, აქტუალური გამხდარიყო მსოფლიოს მასშტაბით, როგორც ახალი და მრავალმხრივ საინტერესო ტურისტული მიმართულება. ამ ტენდენციის შექმნა-დამკვიდრების მიზნით საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტივობები განახორციელა, მათ შორის -ეფექტიანი მარკეტინგული კამპანიები, საერთაშორისო მასმედიისა და მსოფლიოში საუკეთესო ტურისტული კომპანიების წარმომადგენლების საქართველოში მოწვევა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პოპულარული, სპეციალური სატელევიზიო პროექტების განხორციელება, მიზნობრივ და ახალ ბაზრებზე პრეზენტაციებისა და საქმიანი შეხვედრების ორგანიზება... ა.შ. ეს ყველაფერი აისახება როგორც ტურისტების რაოდენობის უპრეცედენტო ზრდაზე, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დადებით ფორმირებაზე.

თუმცა, ეს ყველაფერი ზღვარი არ არის - საქართველოს ტურიზმის მიმართულებით კიდევ ძალიან ბევრი და საინტერესო შესაძლებლობები და პერსპექტივები აქვს, ამიტომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ამასთან, ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ტურიზმის ისეთი სექტორების განვითარების კუთხით, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების შემოსვლას (მაგალითად - საქმიანი, ბალნეოლოგიური, სპორტული, ღვინის ტურიზმი და სხვა).

ტურიზმის განვითარების მიზანმიმართულმა და სწორმა პოლიტიკამ და მიმდინარე წელს დაგეგმილმა აქტივობებმა იმის წინაპირობა შექმნა, რომ 2018 წელი საქართველოსთვის ტურიზმის სფეროში ახალი რეკორდების წელი გახდეს. 2017 წლის შედეგები და 2018 წლის იანვრის მონაცემები იმის თამამად თქმის საშუალებას მაძლევს, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2018 წელს 8 მილიონიან ნიშნულს გადააჭარბებს, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან პირველად გადააჭარბებს - 3 მილიარდ აშშ დოლარს.

Georgia


საერთაშორისო
მოგზაურების რეკორდული
მაჩვენებელი 2017
7 554 936




2017 წელი,
კიდევ ერთი რეკორდული
მაჩვენებელი–
საქართველოს **7,554,936**
საერთაშორისო მოგზაური ეწვია.
**1,194,433**-ით მეტი მოგზაური
2016 წელთან შედარებით
ზრდა +18.8%




უცხოელი მოგზაურები, ანუ
ტურისტები, რომლებმაც
24 საათი და მეტი დაჰყვეს
საქართველოში–**3,478,932.**
**757,962**-ით მეტი ტურისტი 2016
წელთან შედარებით
ზრდა +27.9%

# საერთაშორისო შემოსვლები

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | ცვლილება % 2016-2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 4,428,221 | 5,392,303 | 5,515,559 | 5,901,094 | 6,360,503 | 7,554,936 | **+18.8%** |
| 24 საათი და მეტი | 1,789,592 | 2,065,296 | 2,229,094 | 2,281,971 | 2,720,970 | 3,478,932 | **+27.9%** |
| ერთდღიანი ვიზიტი | 1,883,670 | 2,138,216 | 2,172,429 | 2,218,288 | 2,318,189 | 2,388,715 | **+3%** |
| ტრანზიტი | 754,959 | 1,188,791 | 1,114,036 | 1,400,835 | 1,321,344 | 1,687,289 | **+27.7%** |

## საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით




*წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

# ზრდა ევროკავშირის ქვეყნებიდან



დიდი ბრიტანეთი
**+39.9%**



ნიდერლანდები
**+31.1%**



ესპანეთი
**+29.9%**



საფრანგეთი
**+29.6%**



გერმანია
**+25.7%**

## განსაკუთრებული ზრდა შემდეგი ქვეყნებიდან:



იორდანია
**+315.6%**



საუდის არაბეთი
**+164.6%**



ქუვეითი
**+154.3%**



ირანი
**+118.3%**



ინდოეთი
**+64.1%**



ჩინეთი
**+54%**

# საერთაშორისო შემოსვლები
## პირველი 10 ქვეყანა

| ქვეყანა | 2016 | 2017 | ცვლილება | ცვლილება % |
|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 1,496,437 | 1,718,016 | 221,579 | **+14.8%** |
| აზერბაიჯანი | 1,523,703 | 1,694,998 | 171,295 | **+11.2%** |
| რუსეთი | 1,038,750 | 1,392,610 | 353,860 | **+34.1%** |
| თურქეთი | 1,256,561 | 1,246,745 | -9,816 | **-0.8%** |
| ირანი | 147,937 | 322,938 | 175,001 | **+118.3%** |
| უკრაინა | 174,858 | 193,002 | 18,144 | **+10.4%** |
| ისრაელი | 92,215 | 125,319 | 33,104 | **+35.9%** |
| ინდოეთი | 36,410 | 59,732 | 23,322 | **+64.1%** |
| ყაზახეთი | 48,849 | 56,765 | 7,916 | **+16.2%** |
| საუდის არაბეთი | 21,257 | 56,247 | 34,990 | **+164.6%** |

*წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

# საერთაშორისო შემოსვლები
## პირველი 10 ქვეყანა

| ქვეყანა | შემოსვლები |
|---|---|
| სომხეთი | 1 718 016 |
| აზერბაიჯანი | 1 694 998 |
| რუსეთი | 1 392 610 |
| თურქეთი | 1 246 745 |
| ირანი | 322 938 |
| უკრაინა | 193 002 |
| ისრაელი | 125 319 |
| ინდოეთი | 59 732 |
| ყაზახეთი | 56 765 |
| საუდის არაბეთი | 56 247 |

# საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით




*წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

# ტურიზმი–ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი 2017 წელი




## ტურიზმის წილი მშპ-ში



# შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან

**წინასწარი მონაცემებით:**

2017 წლის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან

**2.75 მილიარდ** აშშ დოლარზე მეტი

**ზრდა +27%**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

# განთავსების ობიექტები

თბილისი

**17956**

27% საწოლი ადგილი





აჭარა

**12126**

18% საწოლი ადგილი



2017 წელი. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები:

ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებები 1,955

საწოლი ადგილების რაოდენობა 65,941

## თბილისში დაგეგმილი სასტუმროების გახსნა:

- Hilton Garden Inn
- Radisson Park Inn
- Rixos Tbilisi
- Hyatt Regence
- Moxy Marriott
- Pullman Hotels & Resort
- Radisson BLU Telegraph
- Ramada Encore
- Golden Tulip
- Marriott Autograph Collection-Panorama Freedom Square
- Marriott Autograph Collection-Panorama Sololaki
- Pullman Hotels & Resort
- Tabori Ridge Recreation & Golf Resort

# ᲡᲐᲬᲝᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ




*წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია*

## 2017 წელს გახსნილი სასტუმროები:

**+4467**

29% მეტი საწოლი ადგილი





# განთავსების ახალი ობიექტების მშენებლობა 2018/2019

## თბილისი

- Marriott Autograph Collection Panorama Freedom Square
- Marriott Autograph Collection Panorama Sololaki
- Tabori Ridge Recreation & Golf Resort
- Hilton Garden Inn
- Park Inn by Radisson
- Rixos Tbilisi
- Hyatt Regency
- Moxy Marriott
- Pullman Hotels & Resorts
- Radisson Blu Telegraph
- Ramada Encore
- Golden Tulip

## ბათუმი

- Wyndham Hotels & Resorts
- Courtyard by Marriot
- Best Western VIB
- Swissotel
- Le Meridien Hotels
- Porta Batumi Tower
- Twin Tower

## თელავი

- Golden Tulip
- Holiday Inn

## წინანდალი

- Radisson BluTsinandali



## გუდაური

- Radisson Blu Gudauri

## გოდერძი

- Ramada Resorts

## ქუთაისი

- Ramada Encore

# საავიაციო ბაზარი

## ახალი ავიაკომპანიები 2017

- Severstal
- small planet AIRLINES
- NordStar
- طيران الخليج Gulf Air
- ANDA AIR
- KISH AIRLINES
- RED WINGS AIRLINES
- WOL
- IRAN ASEMAN AIRLINES
- العربية للطيران airarabia.com jordan الأردن
- Saratov Airlines САРАТОВСКИЕ АВИАЛИНИИ
- الملكية الأردنية ROYAL JORDANIAN
- KUWAIT AIRWAYS
- NORDAVIA Regional Airlines

# ახალი მიმართულებები 2017




- თბილისის საერთაშორისო აეროპორტი
- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი
- ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

*წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო*

# 2017 წლის განმავლობაში საქართველოში რეგულარული და

# ჩარტერული ფრენები 52-მა ავიაკომპანიამ განახორციელა


Georgia
Georgia
Georgia




Georgia
WINE BAR
CzechRepub


Georgia

# 2017 წლის გამოფენები

ქვეყნის ცნობადობის ამაღლების და დამატებითი ვიზიტორების მოზიდვის მიზნით ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო **22 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში:**

**FITUR**
მადრიდი/ესპანეთი

**ADVENTUR LITEXO**
ვილნიუსი/ლიტვა

**EMITT**
სტამბოლი/თურქეთი

**JATA**
ტოკიო/იაპონია

**TTG**
რიმინი/იტალია

**IMTM**
თელ-ავივი/ისრაელი

**SKI& SNOW BOARD SHOW**
ლონდონი/დიდი ბრიტანეთი

**IMEX**
ფრანკფურტი/გერმანია

**TT WARSAW**
ვარშავა/პოლონეთი

**WTM**
ლონდონი/დიდი ბრიტანეთი

**BALTTOUR**
რიგა/ლატვია

**KITF**
ალმატი/ყაზახეთი

**KOTFA**
სეული/სამხრეთ კორეა

**IBTM EIBTM**
ბარსელონა/ესპანეთი

**GOEXPO WINTER**
ჰელსინკი/ფინეთი

**COTTM**
პეკინი/ჩინეთი

**UITT**
კიევი/უკრაინა

**AITF**
ბაქო/აზერბაიჯანი

**OTDYKH**
International
Russian Travel, Market
მოსკოვი/რუსეთი

**ATM**
დუბაი/არაბთა გაერთიანებული საემიროები

**HOLIDAY FAIR-BRUSSELS**
ბრიუსელი/ბელგია

**ITB**
ბერლინი/გერმანია

# საქართველო - მეღვინეობის აკვანი

## ბორდო, საფრანგეთი, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრი - CITÉ DES CIVILISATIONS DU VIN გამოფენა „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“

საქართველოს მთავრობის ორგანიზებით საქართველო პირველი მიწვეული ქვეყანაა, რომელმაც ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენის ციკლი გახსნა. საქართველო ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი გახდა, სადაც გამოფენის ფარგლებში საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარდგენა მოხდა.









GÉORGIE
BERCEAU DE LA VITICULTURE
GEORGIA





# ინტერნეტ მარკეტინგული კამპანიები

საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის რეკლამირების მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში მიზნობრივ ქვეყნებში ინტერნეტ მარკეტინგულ კამპანიებს ატარებს, რაც ადმინისტრაციის პარტნიორმა Google - ის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ წარმატებულ პროექტად შეაფასა.



## 2017 წელი. ზამთრის ინტერნეტ კამპანია 19 ქვეყანაში:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | აზერბაიჯანი | ესტონეთი |
| დიდი ბრიტანეთი | ყაზახეთი | ქუვეითი |
| იტალია | რუსეთი | ბაჰრეინი |
| ისრაელი | თურქეთი | საუდის არაბეთი |
| უკრაინა | სომხეთი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| პოლონეთი | ლიტვა | |
| ბელარუსი | ლატვია | |

**7.7 მილიონი ნახვა**
**20 მილიონზე მეტი CLICK**

## 2017 წელი. ზაფხულის ინტერნეტ კამპანია 14 ქვეყანაში:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | აზერბაიჯანი | ლატვია |
| იტალია | ყაზახეთი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| ისრაელი | რუსეთი | |
| უკრაინა | თურქეთი | |
| პოლონეთი | სომხეთი | |
| ბელარუსი | ლიტვა | |

**5.2 მილიონი ნახვა**
**16 მილიონზე მეტი CLICK**



# საქართველოს შესახებ რეკლამა განთავსდა წამყვან ტურისტულ ინტერნეტ პლატფორმებზე TRIPADVISOR და EXPEDIA

**tripadvisor**

**3 000 000-ზე მეტი ნახვა**

| | |
|---|---|
| პოლონეთი | აზერბაიჯანი |
| ისრაელი | თურქეთი |
| იტალია | ყაზახეთი |
| გერმანია | უკრაინა |
| რუსეთი | აშშ |
| სომხეთი | დიდი ბრიტანეთი |

**Expedia**

**2 400 000-ზე მეტი ნახვა**

- აშშ
- დიდი ბრიტანეთი
- გერმანია

# სარეკლამო კამპანია მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე




NATIONAL GEOGRAPHIC
საქართველო

# სპეციალური გამოცემა საქართველოს შესახებ





2016 წლის ვიზიტორების რეკორდული მაჩვენებლის აღსანიშნად მომზადდა ვირუსული ვიდეორგოლი მე-6 მლნ მოგზაურის შესახებ, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა ნახა.







ვიდეორგოლმა კანის რეკლამის ფესტივალზე ორი მთავარი პრიზი–ვერცხლისა და ბრინჯაოს ლომი მიიღო

CANNES LIONS
INTERNATIONAL FESTIVAL OF CREATIVITY





## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო მოგზაურობისთვის უსაფრთხო ქვეყნად დაასახელა




# მსოფლიოში აღიარებული და გავლენიანი სამოგზაურო გამოცემა და პლატფორმა LONELY PLANET

## BEST IN TRAVEL

საქართველო 2018 წლის
ათ საუკეთესო
მიმართულებას შორის
დასახელდა





The Telegraph

ბრიტანულმა გამოცემა THE TELEGRAPH-მა საქართველო ევროპის ყველაზე საოცარი ქვეყნების სიაში შეიყვანა

FT FINANCIAL TIMES

გამოცემა FINANCIAL TIMES-მა საქართველო ძირითად ტურისტულ მიმართულებებში შეიყვანა







## CONDÉ NAST

გამოცემა CONDE NAST-მა საქართველო მსოფლიოს 14 მიმართულების სიაში შეიყვანა

## NATIONAL GEOGRAPHIC

NATIONAL GEOGRAPHIC-მა საქართველო მსოფლიოში ყველაზე ლამაზ 17 ადგილს შორის დაასახელა

## THRILLIST

ამერიკულმა გამოცემა THRILLIST-მა სტეფანწმინდა მსოფლიოს იმ 20 პატარა ქალაქს შორის დაასახელა, რომელიც უნდა მოინახულო




# WORLD ABOUT GEORGIA

## საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ მომზადებული გავლენიანი გამოცემების სტატიები ერთ ბროშურაში








# TOUCH - ციფრული მარკეტინგის კონფერენცია საქართველოში

www.touchdigital.ge

საერთაშორისო ციფრული კონფერენცია „Touch Digital Summit“ საქართველოში მეორედ ჩატარ-და. კონფერენციაში Google/Youtube-ის TripAd-visor-ის, Web Summit-ის ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა. Touch Digital Summit ინტელექტუა-ლური პლატფორმაა, რომელიც ციფრულ ინდუს-ტრიაში ჩართულ პირებს და ამ სფეროს მრავალ, საინტერესო მიმართულებაზე მომუშავე ორგან-იზაცებს აერთიანებს. პროექტი ყოველწლიურად სულ უფრო მეტ საერთაშორისო დონის სპიკ-ერს მასპინძლობს, რომლებიც დაინტერესებულ პირებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

# გაცნობითი ტურები

საქართველოს ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო ბაზრებზე წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით 2017 წელს უცხოეთიდან მოვიწვიეთ

**683**
ჟურნალისტი



**239**
ტუროპერატორი








# ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწვეულმა უცხოელმა ჟურნალისტებმა საქართველოს შესახებ მოამზადეს 942 სტატია

BBC
NATIONAL GEOGRAPHIC
Forbes
theguardian
THRILLIST

THE HUFFINGTON POST
Decanter
VAGABOND SHOEMAKERS
DEPESHA

VOGUE
Harper's BAZAAR
ELLE
Bird Watching

Le Monde
CORRIERE DELLA SERA
The INDEPENDENT
Daily Mail
CONDÉ NAST
OBSERVER

# მომზადდა 102 ტელერეპორტაჟი, სიუჟეტი და გადაცემა

## ესტონეთი

Kanal 2-სათავგადასავლო გადაცემა
Fast and Handsome

## არგენტინა

Canal 26
VIAJES Y VIDAS

## ჰოლანდია

საზოგადოებრივი მაუწყებელი Whi Is The Mole; არხი NPO3

## საფრანგეთი

ARTE

## უკრაინა

ერა
პროგრამა Мир онлайн

## სლოვენია

RTV Slovenia
Pop TV

## აზერბაიჯანი

Хазар
გადაცემა Sirdash

## იტალია

Rai2
Le Spose di Costantino

## შვედეთი

SVT
Go kvall


Shkhara 5201m
3rd Euro-Asian Mountain Resorts Conference


3rd Euro-Asian Mountain Resorts Conference

3rd Euro-Asian
Mountain Resorts Conference
Innovative Strategies for Sustainable
Mountain Tourism Development







# გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევრაზიის მთის კურორტების მე-3 კონფერენცია საქართველოში

2017 წლის 4-7 აპრილს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ორგანიზებით, თბილისში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) ევრაზიის მთის კურორტების მე-3 კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას დაესწრნენ მტო-ს მაღალი რანგის წარმომადგენლები - 250-მდე დელეგატი. კონფერნეციაში მონაწილეობა მიიღო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტალიბ რიფაიმ.

# საერთაშორისო შეთანხმებები

## შეთანხმებები ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ



საქართველოსა და იორდანიას შორის



საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის შორის



საქართველოსა და ბრაზილიას შორის






# გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ზურაბ პოლოლიკაშვილის არჩევა

2017 წლის 12 მაისს ესპანეთში, ქ. მადრიდში გამართული გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) აღმასრულებელი საბჭოს 105-ე სესიის ფარგლებში, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურა წარდგენილ იქნა მტო-ს გენერალური მდივნის მანდატის დასაკავებლად 2018-2021 წლების პერიოდისათვის. 2017 წლის 11-16 სექტემბერს კი ჩინეთში, ქ. ჩენგდუში გამართული მტო-ს გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის ფარგლებში, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურას.



Georgia
www.georgia.travel
Convention and Exhibiton
Bureau of Georgia
www.meetgeorgia.ge
Georgia
www.georgia.travel






# საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო

## ბიუროს ამოცანები:

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დაარსებული საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს მიზანია საქართველოში საქმიანი ტურიზმის (MICE) განვითარება და სხვადასხვა შეხვედრის, წამახალისებელი ტურების, კონფერენციების, გამოფენებისა და მსგავსი საერთაშორისო ღონისძიებების მოზიდვის ხელშეწყობა. საზღვარგარეთ საქართველოს საქმიანი ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ჰყავს 44 წევრი ორგანიზაცია, რომლებიც საქართველოს ფარგლებში ყველაზე მასშტაბურ სასტუმროებს, ღონისძიებების ორგანიზატორ კომპანიებს, წარჩინებულ ტურისტულ კომპანიებსა და ღონისძიებების გასამართ ადგილებს წარმოადგენენ.

Convention and Exhibiton
Bureau of Georgia




საკონვენციო ბიუროსა და საქართველოს გიდების ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, საქართველო არჩევნების გზით დასახელდა 2019 წლის გიდების მსოფლიო ფედერაციის კონგრესის მასპინძელ ქვეყნად, ღონისძიებას 500-მდე დელეგატი დაესწრება.

# მიზნობრივ ქვეყნებში 2017 წელს ბიურომ 7 პრეზენტაცია გამართა



2017 წელს საქართველო პირველად იყო წარმოდგენილი IBTM Arabia-ზე, აბუ დაბიში და Meetings Show-ზე ლონდონში. საკონვენციო ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ASTA-ს (American Society of Travel Agents) გლობალურ კონვენციასა და გამოფენაში.

ibtm ASTA THE MEETINGS SHOW 27–28 June 2018 • Olympia London




საქმიანი ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით ბიურომ განახორციელა ონლაინ და ბეჭდური მარკეტინგული კამპანია HeadQuarters Magazine-ის ევროპის და აზიის ბაზრებისთვის განკუთვნილ რეგიონულ გამოცემებში.

## საქართველომ რეგიონში პირველი ადგილი დაიკავა ICCA-ს რანგირებაში საქმიანი ტურიზმის კუთხით. INTERNATIONAL CONGRESS AND CONVENTION ASSOCIATION




საქართველოს აეროპორტების გაერთიანების და საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ძალისხმევის შედეგად, საქართველომ უფლება მოიპოვა, 2018 წლის თებერვალში უმასპინძლოს „Connect Aviation"-ის ღონისძიებას, რომელიც ავიაციის სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი დანიშნულების ადგილების განვითარების კუთხით.


Georgia


Georgia




Georgia
Georgia

# შიდა ტურიზმის სტიმულირება

შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაგეგმა და განახორციელა პროექტი **„გაიცანი საქართველო.“**

ჩატარდა **27** პრესტური

მომზადდა **140** რეპორტაჟი

## გაიცანი საქართველო -2017 წელი:

ჩატარდა **7** პრესტური

მომზადდა **34** რეპორტაჟი

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შესახებ.

## პროექტში ჩართულები იყვნენ:





# DISCOUNT WEEK

2017 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით დაინერგა ფასდაკლებების კვირეულის კამპანია “Discount Week”. პროექტის მიზანია რეგიონის პოპულარიზაცია და არასეზონურ პერიოდში ტურიზმის წახალისება. პროექტი კერძო სექტორს ხელს უწყობს, 40%-იანი ფასდაკლების შეთავაზების გზით მოიზიდოს დამსვენებლები.

## წლის განმავლობაში პროექტმა DISCOUNT WEEK საქართველოს სხვადასხვა ტურისტულ რეგიონი მოიცვა








# ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების მესამე ოფიციალური ცერემონია

2017 წლის 6 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში Welcome to Georgia! ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების რიგით მესამე ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ტრადიციულად 21 გამარჯვებული გამოვლინდა სხვადასხვა ნომინაციებში.

ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანაორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.






Junior
EUROVISION


AEROSMITH

CHECK IN GEORGIA

- Aerosmith
- სუხიშვილები
- ქეთი მელუა
- ნინო ქათამაძე
- Solomun
- ფუძეობა
- საბავშვო ევროვიზია
- Björk
- Sou festival
- წინანდლის ფესტივალი
- გამოფენა „უნივერსალური ღირებულებები: ბოტიჩელი-სილამაზე, კარავაჯო-სინათლე“

## საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები

- მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი
- ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში
- ჭაბუკთა 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში
- Wings for life wings for life
- მსოფლიო თასი ჭადრაკში

## ჩატარდა:

**90** სხვადასხვა სახის კულტურული აქტივობა

**18** ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში

**13** საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები

დამსწრეთა რაოდენობა **300 000**

Junior Eurovision SHINE BRIGHT • TBILISI 2017

2017 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის მე-15 კონკურსს საქართველომ უმასპინძლა

კონკურსი 26 ნოემბერს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა.


Mercedes-Benz
FashionWeek
TBILISI




TBILISI
FASHION
WEEK








## RAINFOREST CHALLENGE 2017

საინფორმაციო მხარდაჭერა

კაიაკინგის საერთაშორისო ჩემპიონატი

## BZHUZHA RACE

ოზურგეთი, შემოქმედი









USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

# თანამშრომლობა USAID-ის პროექტ ZRDA-სათან

საქართველოს რეგიონებში ტურიზმის სექტორის განვითარების მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს USAID - ის პროექტ Zrda-სათან.

## თანამშრომლობის მიზანია სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის და კახეთის მხარეში აგრო, ეკო, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა





# საქართველოში GIZ-ის დაფინანსებით, ავსტრიული კომპანია ENITED-ის მიერ შემუშავდა საქართველოს პირველი საქმიანი ტურიზმის სტრატეგია

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH


გორიწყლის საბანაკე
GORITSKALI CAMPSITE
6.3KM/1H45MIN
მრავალძალი
MRAVALDZALI
34.7KM/12H20MIN
ნაქერალას საბანაკე
NAKERALA CAMPSITE
13KM/4H40MIN
მუხურა
MUKHURA
21KM/7H25MIN
შუა სხვავა
SHUA SKHVAVA
38.7KM/13H10MIN
შქმერი
SHKMERI
43KM/14H50MIN







# სამთო-საფეხმავლო ბილიკების კვლევა და მონიშვნა (მარკირება)

ქვეყნის მასშტაბით საფეხმავლო ბილიკების ქსელის შესაქმნელად რამდენიმე მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობს. 2017 წელს მოკვლეულ იქნა შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის საფეხმავლო ბილიკები, მომზადდა მონიშვნის პროექტები.

## მონიშნა:

**სამთო-საფეხმავლო ბილიკები:**

რაჭა-ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი / სამეგრელო- ზემო სვანეთი

**მონიშნა 9 ცალკეული და 3 ქსელური ბილიკი:**

რაჭა-ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი / **საერთო სიგრძე 270 კმ.**

**მონიშნა 9 ბილიკი:**

სამეგრელო-ზემო სვანეთი / **საერთო სიგრძე 205 კმ.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს, რათა აღნიშნული ბილიკები საერთაშორისო სამთო-საფეხმავლო ბილიკების პორტალზე განთავსდეს






# ღვინის გზის პროექტი

კახეთი / შიდა და ქვემო ქართლი / სამცხე-ჯავახეთი / მცხეთა-მთიანეთი / იმერეთი / გურია / რაჭა-ლეჩხუმი / აჭარა

**ჩატარდა ინვენტარიზაცია:**
დაზიანებული მანიშნებლების შეცვლა და პროექტში ჩართული ახალი ობიექტებისთვის მანიშნებლების მონტაჟი. პროექტის განახლებისას მოხდა 67 ახალი ობიექტის ჩართვა. საერთო ჯამში ამ ეტაპზე ღვინის გზის პროექტში მონაწილეობს 124 მეღვინეობა. განახლდა ღვინის გზის რუკა და დაემატა საკონტაქტო ინფორმაცია ყველა ბენეფიციარზე.

**ღვინის გზის პროქტში მონაწილეთა რაოდენობა მზარდია და ყოველწლიურად მიმდინარეობს ქსელის გაფართოება.**

პროექტში ჩასართავად უკვე შერჩეულია ახალი 35 მასპინძელი ობიექტი

მომზადდა აღნიშნული ობიექტების საგზაო მანიშნებლების პროექტი





# ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის

წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტი საუკეთესოა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემებისთვის. შესაბამისად, იქ დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობის არსებობა კურორტს მიმზიდველს გახდის ყველასთვის:

## მიმდინარე წელს განხორციელდა წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის შშმ პირთათვის ადაპტირების სამუშაოები









# მანათობელი კონსტრუქციები

რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ტურისტულად მიმზიდველ ქალაქებსა და დაბებში ორმხრივი მანათობელი საინფორმაციო კონსტრუქციების მონტაჟი. ის ერთგვარ მეგზურობას უწევს საერთაშორისო თუ შიდა მოგზაურებს.

## 2017 წელი

### საქართველოს რამდენიმე რეგიონში განთავსდა დამატებით 10 მანათობელი კონსტრუქცია:







# სასურათე ჩარჩოები

სოციალური ქსელში განთავსებულ სურათებზე დაიტანება ინფორმაცია ადგილის სახელითა და სიმაღლის ნიშნულის მითითებით.

**მიმდინარე წელს კიდევ ასეთი 5 სასურათე ჩარჩო განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე:**

**ტბა შაორის მიმდებარე ტერიტორია / მთა თეთნულდი / მთა კოხტა / მთა მიტარბი / დაბა შატილი**



# ტურისტული პროდუქტი - ბროშურები




შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის რუსულ და ინგლისურენოვანი ბროშურა




შიდა ქართლის ღვინის გზის რუსულ და ინგლისურენოვანი ბროშურა




გერმანულენოვანი ბროშურა საქართველოში არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ




შიდა ქართლის სასკოლო ტურების კატალოგი ქართულ ენაზე

# მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები

სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა

გიდის უნარ-ჩვევები

გიდის ტრენერთა ტრენინგი

ღვინის გიდის ტრენინგი

აგროტურისტული ობიექტების მართვა და ოპერირება

მენეჯერის მართვის უნარ-ჩვევები

მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა

საბაზისო ინგლისური ენის კურსები

2017 წელი. ჯამში გადამზადდა **1318** ადამიანი

საქართველოს მასშტაბით ტრენინგები ჩატარდა შემდეგ რეგიონებში:






საერთაშორისო კლასის ბრიტანელმა ტრენერებმა სასტუმროს მენეჯერებისა და მომსახურე პერსონალისთვის ტრენინგები ჩაატარეს

გადამზადდა **160** მენეჯერი

**100** სასტუმროს თანამშრომელი








გამოიცა
**5000**
სახელმძღვანელო

## კონფერენციები და სახელმძღვანელოები

თბილისი - სტუდენტური კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები" -კონფერენციები საქართველოს 5 რეგიონში - „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები“.

მომზადდა სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად, რომელიც 5000-იანი ტირაჟით გამოიცა და გავრცელდა სახელმწიფო უწყებებში, უნივერსიტეტებში, ასოციაციებში, გუბერნიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფ. სასწავლებლებში.









# საინფორმაციო მომსახურება

საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლების ტრენინგი (USAID-პროექტი „ზრდა“).

დაიბეჭდა საპრომოციო მასალა და მომარაგდა საინფორმაციო ცენტრები.

ქვეყანაში არსებული ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის მონიტორინგი და შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან.

ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი მოფრენის ტერმინალში, განახლებული დიზაინით ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გადავიდა.

ქ. ქუთაისის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გადავიდა ახალ მისამართზე.

ქ. წყალტუბოში გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

კონფერენცია - „ტურიზმი ადგილობრივი განვითარებისთვის“ (ქ. ქუთაისში, ქ. თბილისში).

საინფორმაციო ბაზაში განახლდა ინფორმაცია ტურისტული ობიექტების შესახებ (places.georgia.travel).


LEKI

# ტურისტებთან კომუნიკაცია

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის - უკუკავშირის, ანალიზისა და რეაგირების სამმართველოში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, 24 საათიანი უფასო მომსახურებით, ნომრით - 0 800 800 909. ინფორმაციის მიწოდება და შემოსულ პრობლემებზე რეაგირება სამმართველოს თანამშრომლების მიერ ხდება სწრაფად, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება შემოსული ზარებისა და შეტყობინებების მონიტორინგი და ანალიზი.

## სამმართველოს უწყვეტი კავშირი აქვს ტურისტებთან VIBER-ისა და ONLINE CHAT-ის მეშვეობით

2017 წლიდან სამმართველომ პრობლემების მონიტორინგისა და დროულად აღმოფხვრის მიზნით შექმნა პრობლემების პორტალი - problems.georgia.travel პორტალის მეშვეობით შემოსული ინფორმაციები რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის უწყებებს.

## ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, 24–საათიანი უფასო მომსახურებით

**0800800909**

## მომსახურების მიზანი:

**შუამავალი საჭირო უწყებებსა და ჩვენი ქვეყნის სტუმრებს შორის**

# წარმატებისა და აღიარების პროგრამა

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2017 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმატებისა და აღიარების პროგრამის 5 ნომინაციაში გაიმარჯვა:

**საუკეთესო ინოვაცია**

**საუკეთესო მიღწევა საერთაშორისო ასპარეზზე**

**საუკეთესო მომსახურება**

იდეების კონკურსში
**თორნიკე ზირაქიშვილმა** და **თათია ხაინდრავამ**
გაიმარჯვეს

სპეციალურმა კომისიამ წელს 50 პროექტი განიხილა.

კონკურსში საბოლოოდ 7 ორგანიზაციული და 7 პერსონალური ნომინაცია იყო წარმოდგენილი.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

სანაპიროს ქ. N4, 0151, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 43 69 99; ფაქსი: +995 322 43 60 85
ელ-ფოსტა: info@gnta.ge
www.georgia.travel